გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

აა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ ნორმების კერძოდ, 133-ე მუხლის ზედმეტად ლიბერალური მიდგომით უკანონო აბორტის მიმართ.

საერთაშორისო პრაქტიკაში თითქმის არ მოიძებნა არც ერთი ევროპული ქვეყანა, სადაც უკანონო აბორტის მიმართ ამგვარი ლიბერალური მიდგომა ფიქსირდება.

აბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების გამკაცრება უკანონო აბორტის გამო.

აგ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლში და მის პირველი ნაწილი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, უკანონო აბორტი ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან სამას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ორ წლამდე; ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი უკანონო აბორტისათვის მსჯავრდებულის მიერ, ან რამაც გამოიწვია შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან/და საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ასევე მკაცრდება ნორმები იმ შემთხვევაში, როცა უკანონო აბორტმა გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა - თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან/და საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

კანონპროექტი აღარ ითვალისწინებს სასჯელის ფორმად ჯარიმას, ვინაიდან ზემოაღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით, არსებული სტატისტიკის თანახმად, არ არსებობს პრაქტიკა ჯარიმის დასჯის ფორმად გამოყენებისა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით გადასახადი ან მოსაკრებელი არ დგინდება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტების მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

აღნიშნული პროექტის მომზადების პროცესში მონაწილობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა, რომელთა რეკომენდაციები ასახულია კანონპროექტში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი;

საქართველოს პარლამენტის წევრი დიმიტრი ხუნდაძე და მირიან წიკლაური.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.